№ 225 ოქტომბერი 24, სამშაბათი 1889 ოქტომბერი 24, სამშაბათი № 225

[stamp] სახალხო ბიბლიოთეკა … წიგნის …

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერ — ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასსა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—2)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 24 ოქტომბერს, ქართულის თეატრის არტისტები წარმოადგენენ

ახალ პიესას:

I

ჟადო სიყვარულისა

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმ. ა. ნათაძისა.

II

კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობია

ვოდევილი 1 მოქმედ მ. საფაროვისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ციციშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, მაჩაბელი, გუნია, ცაგარელი, კანდელაკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე


ტფილისი, 23 ოქტომბერი

ინგლისი დღევანდელი პოლიტიკის გარემოებამ სხვაზედ უფრო კარგს მდგომარეობაში ჩააყენა. ევროპა თითქმის ორ თანასწორ ბანაკად გაყოფილია და აშკარაა, რომელსაც ინგლისი მიემხრობა, იგი დასძლევს სასწორს. ეს ასეთი ყოფა ინგლისისა კარგად გაგებული აქვთ მის ბედის გამგებელთა და ეჭვი არ არის, რომ ინგლისელნი კარგად გამოიყენებენ ამ დღევანდელის დღის ვითარებას. მართალია, მთავარ-მინისტრს სალისბერის სწამებენ ვითომც გერმანიასთან რაღაც შეკრულობა აქვსო, მაგრამ ეს ისე ადვილად დასაჯერი არ არის, როგორც ბევრსა ჰგონია.

სალისბერი, როგორც კონსერვატორთა დასის მეთაური, იქნება უფრო გერმანიის პოლიტიკისაკენ იყოს მიდრეკილი, იქნება გულში გერმანიასთან ყოფნა უფრო ედოს, მაგრამ ინგლისი მით არის სხვებზედ განსხვავებული, რომ იქ ძალმომრევი ღონე თითონ ერსა აქვს და ყოველი მინისტრი, სალისბერი იქნება თუ სხვა, უსათუოდ ანგარიშს უნდა უწევდეს ერის სურვილსა და მიდრეკილებას.

თუ ამ სურვილისა და მიდრეკილების გამორკვევას შევუდგებით, არა გვგონია ბევრი მაგალითი ვიპოვოთ იმისი, რომ ინგლისის ერსა ამ უკანასკნელ ხანებში გული ძლიერ უცემდეს ან სალისბერისათვის, ან მის საგარეო პოლიტიკისათვის. რაც ამ ბოლოს ხანებში დასამატი არჩევანები მოხდა, იქიდამა სჩანს, რომ სალისბერის სამინისტროს ცოტა არ იყოს გარს ბნელი მოსდგომია. თითქმის ყველგან, საცა ეს არჩევანები მოხდა, გლადსტონის მომხრეებმა გაიმარჯვეს და აქედამ ყველას ის გამოჰყავს, რომ ინგლისის ერმა წინანდელი სურვილი, რომელიც ხელს უწყობდა კონსერვატორთა სამინისტროს, ცოტად თუ ბევრად გლადსტონისაკენ მიჰმართა. ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ. არიან იმისთანანიც, რომელნიც იმედოვნებენ, რომ «სახელოვანს მოხუცს» —ასე ეძახიან გლადსტონს—ერთხელ კიდევ ვნახავთ ინგლისის მთავარ-მინისტრის ტახტზედაო.

გლადსტონის გამინისტრება და გერმანიასთან გაგულგრილება ერთი იქმნება. ლიბერალთა დასს, რომელსაც სათავეში უდგას სახელოვანი გლადსტონი, დიდი ხანია თვალში ვერ მოსდის არც გერმანია და არც სალისბერის პოლიტიკა, რომელიც თუ საქმით ძალიან დაახლოებული არ არის გერმანიის პოლიტიკასთან, გულით მაინც ცოტად თუ ბევრად მონდომილია გერმანიას აამოს და მისი საწყინარი რამ არ ჩაიდინოს. გლადსტონელთა საგარეო პოლიტიკას მომხრობია ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი დერბი. ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ ლორდი დერბი კონსერვატორთა დასის კაცია და ინგლისში კარგი ხმა აქვს დაგდებული. ამისი მომხრეობა დროთა ნიშანია და დიდი საქმეა გლადსტონის დასისათვის. ცოტად, თუ ბევრად მოსალოდნელია, რომ ლიბერალთა დასს ინგლისში დღეს ხელ-ახლად მზე ამოუვა. რას უნდა მოველოდდეთ საგარეო საქმეთათვის, თუ ვინიცობაა გლადსტონი იქმნა მიწვეული მთავარ-მინისტრად?

ამას პასუხს თვით გლადსტონის ნათქვამში ვიპოვით. მას წარმოუთქვამს ამ ახლო ხანში სიტყვა საგარეო პოლიტიკის თაობაზედ და გამოუცხადებია, რომ მართალია, დღეს მიზეზი ხრა არის-რა გაცმა რამ შიში იქონიოს ომისაო, მაგრამ შესაძლო-კია მშვიდობიანობა ევროპისა შეირყას მომავალშიო. რა თქმა უნდაო, დიდნი სახელმწიფონი სულ იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება დიდხანს გასტანოს მშვიდობიანობამ ევროპისამო, მაგრამ ევროპის აღმოსავლეთში ბევრი იმისთანა ამბავია, რომელიც შიშსა ჰბადავს და ყოველ დღე ამ შიშს აძლიერებსო. ამ შიშის ბრალსა გლადსტონი სდებს ოსმალეთს, რომელსაც თითქმის რისხვით და წყრომით იხსენიებს. ოსმალეთის გამგეობა სომხეთსა და კრიტში გულს უმღვრევს გლადსტონსა და ამწარებს. მე მგონიაო, ამბობს გლადსტონი, ცუდი გამგეობა ოსმალეთისა, ცუდი მართველობა დაჭერილ ქვეყნებისა მუდამი მუქარაა ევროპის მშვიდობიანობისათვისაო და შელახვა და შებღალვაა კაცთ-მოყვარეობისა და ქრისტიანობისაო.

ეხლა, როცა გერმანიის იმპერატორი სტუმრად არის სტამბოლში სულთანთან და ლაპარაკია იმაზედ, რომ გერმანიას ჰსურს ჩააბას „სამთა კავშირში“ ოსმალეთი,— ეს სიტყვა გლადსტონისა ვერაფერი საამური იქნება გერმანიის პოლიტიკისათვის. ოსმალეთისაკენ გადაქნეული მათრახის წვერები გერმანიასაცა ჰხვდება ახლოდამ, თუ შორიდამ. სჩანს, რომ გერმანიის ყოფა-ქცევა არ მოსწონს გლადსტონს და, მაშასადამე, ცხადია,

## ფელეტონი

### ჩვენი კრიტიკოსები

II

იმ დღევანდელს წერილში, სადაც ორიოდე სიტყვას ვამბობდი ბ-ნ პარიქელ მეყავახანეზე, ხმაც არ ამომილია „იონ-ციონ-რედაქციონ-კვიტანციონზე“. მე მხოლოდ განვიმეორე სპეტაკის ნათელით შემოსილი სიტყვები — განსპეციალიზებული მონოტონობა და სხვა ამისთანა საკვირველი ნაყოფი შეგნებულისა და განვითარებულის გონებისა, რომელმაც ასე მოულოდნელად გამოანათა „თეატრის“ ფურცლებზე ბ-ნ პარიქელ მეყავახანის მარტო ერთის კალმის მოსმით. ყველამ თავისებურად უნდა სცეს თაყვანი ნიჭსა და ამიტომ მეც არ დავიზოგე სანთელ-საკმელი, რომელიც, ჩვენის ხალხის მოწმობით, თავის დღეში თურმე გზას არ დაჰკარგავს. იმავ წერილში, თითქო გულმა მიგრძნოვო, ვახსენე ბერლინელი მელუდხანე, ვახსენე ისე, სიტყვის მასალად, ვახსენე მარტო იმ იმედით, რომ ასეთი მწერალი არა ყოფილა ჩვენში და არც მეგულებოდა, რომ როდისმე შევესწრობოდით ქართულ მწერალთა შორის ბერლინელ მელუდხანესაც, თორემ, აბა თქვენგან არ მიკვირს, რა გამაბედინებდა ისეთს კადნიერებას. თუმცა შემდეგ იმისა, რაც პარიქელმა მეყავახანემ თავის ნიჭიერების ისრით გააპო წყვდიადი ქართველთა გონების სიბნელისა, უნდა მიუმხვდარიყავით, რომ ადვილი მოსალოდნელი იქნებოდა პარიქელ მეყავახნეს გვერდში ამოსდგომოდა არა ნაკლებ ნიჭოსან-ტალანტოსანი, არა-ნაკლებ განსეპიალიზებულ-გამონოტონებული ბერლინელი მელუდხანე, მისი სრული და თანასწორი პარალელი, ამოსდგომოდა და დაემშვენებინა გვერდი. მაგრამ ტყუილად-კი არა ლაპარაკობენ ჩვენზე, რომ ჩვენ, „ივერიელნი“, რაღაც განყენებული ხალხი ვართ, ავცდენივართ ცხოვრებასა და სოფლის ტრიალს და ამიტომ არა გაგვეგება-რა ცხოვრებისა, მიხვედრილობა დაგვიკარგავს სრულებით და წინად-გრძნობას ხომ აბა ვინ გვაღირსებს ჩვენ.

ასეა თუ ისე, დღეს პარიქელ მეყავახანესა და ბერლინელ მელუდხანეს ჩაუვლიათ ხელი-ხელსა, ორ აიაქსივით წამოსულან დიდებულად, გადმოულახნიათ ევროპა, ზღვა და ხმელეთი და გაუკეთებიათ ბინა პატარა ქართულ ჟურნალ „თეატრში“. სვირი მაშინა ნახეთ, თუ ამ ორ აიაქსს, ნიჭითა და გრძნობით გაერთებულს, ზედ დაემატათ ახლა კიდევ ლონდონელი მეჯინე და თუ ამავე დროს ისიც ამათთანა მშვილდოსანი გამოდგა.

**

ბ-ნი ბერლინელი მელუდხანე ისე დამეცა თავს, როგორც ქორი წიწილას, დამეცა და კიდეც გამანადგურა. მართალია, ასეთის მოპირისპირესი მეშინიან, მაგრამ თანაც ძალიან მიყვარს, პირველი იმიტომ, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსაო“ და მეორეც იმიტომ, რომ გესახელება—იტყვიან მაინც არის, რომ ვიღაც შეუმჩნეველი სანო გაჰკლავებია უზარმაზარ ბერლინელ მელუდხანესაო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის. მერე, რა ძალიან ეტყობა, რომ ეს ბერლინელი მელუდხანე, როგორც მისი მსგავსი პარიქელი მეყავახანე, კარგს საზოგადოებაში გაზრდილა და ერთიან აუკრეფია ლუდხანის ზრდილობა და სალიტერატურო ზნე-ჩვეულება. მაგალითად, ჩემზე პირდაპირ და მოურიდებლივ ამბობს „იცოხნებაო“. ჩვეულებრივი, გახუნებული კაცი მეორე კაცზე იტყვის—„სწერსო“, თუ იგი ამ ხელობას მისდევს. ხოლო არა-ჩვეულებრივი ადამიანი, გაწვრთნილი ლუდხანებსა და ყავახანებში, ნიჭოსან-ტალანტოსანი, უთუოდ გეტყვით— „იცოხნებიო“, გინდაც რომ სწერდეთ, გინდაც ლაპარაკობდეთ. რასაკვირველია, თუ შესწვდით მელუდხანის მაღალსა და სპეტაკ აზრებს და ტაში დაუკარით იმის შეილდოსნობას, მაშინ იგი თავზე ხელს წაგისვამთ, თქვენს მოქმედებას დაუძახებს წერას და იტყვის—ამა და-ამ პატივცემულს კაცს წერილი დაუწერიაო. თუ გაგიწყრა ღმერთი და როგორმე დაუწუნე ნახტომი, შეგამკობთ ისეთის პირუტყვების ღირსებით, რომელნიც ან იცოხნებიან, ან შემკულნი არიან ერთის ოთხფეხის დარბაისლობით, ან არა-და პირდაპირ გეტყვიან მამაშვილურად— „მოდი, ამ ვირს ეშხზე ელაპარაკეო“; პირუტყვები რომ არ იყვნენო, სულ ფიანდაზად გამიხდებოდნენო, ფეხთა მტვრად მექცეოდნენ, გაიხსნიდნენ საკინძსა და შიგ გულში ჩამისვამდნენო.

არა, ღვთის წინაშე, კარგს საზოგადოებაში გაზრდილა ეს ორი აიაქსი და ღმერთმა მეტი შნო მისცეთ.

**

„ივერიელებს“ არ გესმით გაზეთის დანიშნულებაო და „თეატრალებს“-კი გვესმისო, ასე შემომიტია ბ-ნმა ბერლინელმა მელუდხანემ. ამიძგერდა სიამოვნების მოლოდინით გული და მეგონა ეხლა-კი იქნება გვეშველოს რამ და ამ პატივსაცემმა კაცმა დაგვანახოს გაზეთის დანიშნულება, აგვიხილოს თვალი ავსა და კარგზე, გვაჩვენოს, თითონ როგორ ესმის ეს საგანი-მეთქი. საუბედუროდ, ტყუილად ჩამიარა აჩქარებულმა სიამოვნებამ. ნაცვლად თვალის ახელისა, ბ-ნი მელუდხანე მეუბნება—„ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, ჩვენ ქვეყნის პირით გელაპარაკებითო, რომ არ გესმით, არა და არაო, ჩვენ, „თეატრელები“, გამომთქმელნი ვართ ქართველ საზოგადოების გულის პასუხისაო, მელუდხანის პირით საყვედურს გითვლით მთელი საქართველოო.

დაწყევლილი დრო რომ არ იყოს ეხლანდელი დრო, მთელი ეს მეცხრამეტე საუკუნე, და შემოწმებულ ბარათებს არა თხოულობდეს, ერთის სიტყვით, არ იყოს საჭირო ვექილობის მოწმობა, ჩვენ უთქმელად დავიჯერებდით ამ განკიცხვის განაჩენს ჩვენის ქვეყნისას, დავუშვებდით კალამს ძირს, მოვიდრეკდით მუხლს, უცბად დავუთმობდით ბურთსა და მოედანს ბ-ნთ პარიქელ მეყავახანეს და ბერლინელ მელუდხანეს, ავიბორებდით პირსა და მივიმალებოდით სადმე, მაგრამ რა გაეწყობა, აკი ვამბობ ჩვენი დროდაწყევლილია-მეთქი და ჩვენც ვემორჩილებით დროს, ვითარცა შვილნი დროისანი, ვემორჩილებით, იმიტომ-რომ დრონი მეფობენ და ამის გამო ვინც ასე გაბედულად დაგვიწყებს ლაპარაკს საზოგადოების მაგიერ, ყოველთვის საბუთსა და ვექილობის მოწმობას მოვთხოვთ. დროსა და ჟამს ურჩობა იმან უნდა გაუწიოს, ვისაც თავის იმედი აქვს. ჩვენ-კი ყოველთვის ისე ვუყურებთ ჩვენს თავს, როგორც მარტივი დღიური მუშა, რომელიც თავის საქმესაც ძლივს ასვლია, არა თუ ახლა კიდე თვით დროსა და ჟამს გაუდგეს განზე და ომში გამოითხოვოს. ასე რომ არ იყოს, აბა წინ რაღას დავუდგებოდით ან პარიქელ მეყავახანეს, ან ბერლინელ მელუდხანეს, ან აბა რომელი ჩვენგანი მოსთხოვდა საბუთს ამ საკვირველ მეომრებს! რა საჭიროა საბუთი ან მე-

რომ, თუ გლადსტონი გამინისტრდა, ინგლისი ვერაფერი საიმედო იქნება გერმანიისათვის. საგარეო პოლიტიკას ეს ასეთი საქმე თავის კვალს დააჩნევს, ცოტად თუ ბევრად შესანიშნავს.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ორი დეპეშა როსტოვიდამ: ერთში, რომელსაც 22 ოქტომბრის თარიღი უზის, გვწერენ, რომ ორჯელ ეჭიდავა კულა გლდანელი სურის ცირკში მოწინააღმდეგეს და ორჯელვე წააქცია და, როგორც წესია, ზურგზე დასცაო. ამას გვწერს თვით ცირკის დირექტორი სური. მეორეში გვწერენ 21 ოქტომბრის თარიღით, რომ დღეს სურის ცირკში ჭიდაობაზე შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი და დონის ნახჩევნის მცხოვრებელმა გრიგოლ არცატმანიანმა გალახა კულა გლდანელიო.

*** ამ თვეში დღე და დღე კლებულობს ნავთის გატანა. საზღვარ-გარეთ თუ რუსეთში ყველა ამ უკანასკნელ დღეებში ხომ ნავთი თუ გააქეთ ბაქოდამ, ისევ დიდ მექარხნეებს, თორემ აუარებელი წვრილი ნავთის მწარმოებელნი გულ-ხელ დაკრეფილნი სხედან. რა არის ამის მიზეზი? მიზეზად ასახელებენ ადგილობრივ ნავთის დაძვირებას. გამოუხდელი ნავთი ფუთი ადგილობრივ 9 კაპ. ავიდა, მაშინ როდესაც ამ ერთის თვის წინად 3 კაპ. იყო. წვრილ მექარხნეებს გამოუხდელ ნავთის ყიდვა 9 კაპ. ხელს არ აძლევს. ზარალს თუ არა, მოგებას არას უქადის და სწორედ ამიტომ ქარხანაში მუშაობის დაყენებას რჩეობენ... დიდი მექარხნეები-კი მაინც არ უფრთხიან ამ მცირე სიძვირეს და კვლავ გაცხარებულ მუშაობაში არიან და ყოველ-დღე იმ გვარადვე გააქეთ ნავთი, როგორც დღეს აქამომდე გაჰქონდათ. წვრილი მწარმოებელნი იმედს არა ჰკარგავენ, რომ დღეს თუ ხვალ გამოუხდელი ნავთის ფასი კვალად დაიკლებს ფასს და არ შორდებიან ამ წარმოებას და ისევ კანტი-კუნტად გააქეთ ნავთი. როგორც შევიტყვეთ დანამდვილებით, ეს გარემოება არა ერთხელ და ორჯელ სწვევია ბაქო-ბალახანს, მაგრამ ისევე ჩვეულებრივს კვალში ჩავარდნილა საქმე. აი რა მითხრეს მექარხნეებმა: ხშირად ერთი თუ ორი კვირა მთლად ამოშრება ხოლმე შადრევანი და ორის კვირის შემდეგ-კი, კვლავ იმავ ალაგას თუ არა, მის მახლობლად ამოჰხეთქავს ხოლმეო. წარსულს თვეს პირველ რიცხვიდგან ოცამდე ბაქოდამ გასულა სულ 5689 ქვაბი ნავთი, ანუ დაახლოვებით ოც-და-თხუთმეტ მილიონამდე ფუთი. ამ თვეის პირველ რიცხვიდამ ოცამდე-კი გავიდა სულ 4322 ქვაბი, ანუ ოც-და-ექვს მილიონამდე ფუთი ნავთი. ცხადია, საგრძნობლად იკლო უკანასკნელ დროს ნავთის გატანამ. დღეს ბაქოს რკინის გზის სადგურზე იმდენი ცარიელი ნავთის ქვაბები მოიკრიფა, რომ სადგურზე ადგილი აღარ არის და რკინის გზის მთავრობამ სადგურის უფროსის თხოვნით მოახდინა განკარგულება ბაქოს სადგურზე ცარიელ ქვაბების მოტანა შეჩერდესო. აი დღეს მეოთხე დღეა ბაქოს სადგურზე აღარ მოაქვთ ცარიელი ქვაბები. ეს-ეს იყო შევიტყე, რომ ორ ამომშრალ ნავთის შადრევანის მაგიერ მათსავე მახლობლად კვლავ ამოხეთქილა ახალი წყარო. ადგილობრივის ნავთის მწარმოებელნი სრულიად არა ჰკარგავენ იმედს, რომ ამ მცირე ხანში გამოუხდელის ნავთის ფასი ისევ იკლებს და კვალინდებურად შეუდგებიან თავიანთ საქმეს.

*** ქართლი: ფრონის ხეობაზედ, ამ ორის კვირის წინად, სოფ. ტახტიძირს გლეხს გ. ს—ძეს გაუღეს ღამე ბაკი და საუკეთესო ძროხა მოჰპარეს ქურდებმა. არ გავიდა ნახევარი საათი, რომ პატრონებმა გაიგეს და ზეგრის ვაი-ვაგლახის შემდეგ სამნი ძმანი სხვა-და-სხვა გზით გამოეკიდნენ საძებნელად. ერთმა მათგანმა მიატანა სოფელს ღვანს გარიჟრაჟზედ და დაინახა შორი-ახლოს ძროხა და ორი კაცი. ერთმა ქურდმა შენიშნა მდევარი და მიაგდო ძროხა თავის ამხანაგს, გადახტა ტყეში, გაიძრო მაზარა, რომ ვითომ ველარ მიცნოს მდევარმაო, გაიარა რამდენიმე მანძილი, უყელა წინ გზაზედ და მისცა სალამი: გამარჯობა შენი, ლექსაო! ლექსამ უთხრა: კაცო, აგერ შენ არ მიხდევდი ჩემ ძროხას მაზარიანი, ეხლა ტყეში შეხველ და წინ მომიარე უმაზაროო. ამასობაში ძროხა შეიყვანეს სახლში ოსისას და მდევარიც მივიდა ფეხ-და-ფეხ კარზედ და ძალაობა დაუწყო ოსს, თავის ძროხას სთხოვდა. ოსმა თოფი გამოიღო და დაუმიზნა ეზოდგან. საწყალი ლექსა იძულებული იყო გამობრუნებულიყო უკან. შეატყობინა ეს ამბავი მამასახლისს და სხვათაც, რომელთაც ყოველივე ეს თავის თვალითა ჰნახეს. ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ ძროხა გამოუგდეს. პატრონმა ძროხა მამასახლისს ჩააბარა იმ აზრით, რომ თავი გამოება ამ საქმისათვის მაგრამ ვერას გახდა, ვინ გასცა ხმა. ავიდა ცხინვალს 7 ვერსზედ ღვანიდგან და ბოქაულმა უპასუხა: თქვენ სხვა საბოქაულოსი ხართ, ხელთუბნის საბოქაულოსიო. რა ექნა, 40 ვერსზედ სად გაქანებულიყო. ან-კი რა იქნებოდა, რომ გაქანებულიყო. ამ ცოტა ხანში თვით ნამდვილი ბოქაულიც ბძანდებოდა ღვანში. ეს საქმე გამოეცხადა და აი ეხლა ვნახოთ რითი გათავდება. მთელმა სოფელმა და აგრეთვე გარეშემო სოფლების მცხოვრებლებმაც იციან, ვინ არის ქურდი და გამცემელი აქაურის არე-მარესი. ამ ქურდობის ჩამდენნი და მრავლის სხვებისაც არიან ღვანის ახლო დასახლებული ორი კომლი ოსი. მათივე ამხანაგია ღვანის მკვიდრი გლეხი თ. კო—ძე.

*** სოფ. ზემო-ნიქოზი: ამას წინად ჩვენმა სოფელმა, მოთმინებიდგან გამოსულმა, დაადო ხელი აქაურს ერთს ქურდს რომელიც აციებს სოფ. ზემო-ნიქოზს, და სთხოვა სამაზრო ადმინისტრაციას, მოგვაშორეთ ეგ კაცი თავიდგანაო. ამ გლეხს ჰბრალდება საბძლების გადაწვა და ყველა ქურდობა, რაიცა იმ სოფელში მომხდარა ამ 25 წ. განმავლობაში.

*** ხაშური: 21 ოქტომბერს შუადღისას ავენთო ახლად აშენებული ღუმელი რკინის გზის სადგურის უფროსის თანაშემწეს ბროჟინსკის. გახურებულიყო თუ არა ღუმელი, დაეძახნა უცბად და მთლად დანგრეულიყო. ერთი აგური უბედურს ბროჟინსკის საფეთქელში მოხვედროდა. საცოდავმა ბროჟინსკიმ, სულ 22—23 წლის კაცმა, იმავ დღესვე სალამოს ხუთ საათზედ განუტევა სული. ყოვლად საჭიროა მიაქციონ ყურადღება და დაათვალიერონ ხოლმე თავ-თავის დროზედ როგორც ღუმელ-ბუხრები, ისე თვით შენობანიც. ხაშურში რკინის გზის მთავრობამ კაი ხანია ააგო რამდენიმე შენობა მოსამსახურეთათვის. თითო შენობაში 40—60 კაცი სცხოვრობს თავიანთის ცოლშვილით. ამ შენობათა ზოგიერთი კედლები ზედ შუაზედ არის დახეთქილი, ისე რომ მდგმურებს ჩერები ჩაუჩრიათ შიგ. თუმცა მდგმურებს რამდენჯერმე მიუმართავთ, ვისიც ჯერ არს, და გამოუცხადებიათ, რომ ამ შენობაში საშიშოა ყოფნაო, მაგრამ არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მათთვის. ვგონებთ, ეხლა მაინც დრო არის, რომ მიაქციონ ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება. 22 ოქტომბერს აქ მოვიდა მაზრის ექიმი მიცვალებულ ბროჟინსკის გასაჭრელად და აგრეთვე გამომძიებელიც.

*** გორი: აქ 22 ოქტომბერს მოსელიათ ლაპარაკი ნიკო ხარებაშვილსა და თიბილაშვილს თივაზედ. თიბილაშვილს შეუცია ხანჯალი მუცელში ხარებაშვილისათვის და დაუჭრია ისე, რომ წელები გამოუყრევინებია.

*** სურამი: თითქმის ორი დღე არ გაივლის ისე, რომ რაიმე ცუდი შემთხვევა არა მოხდეს რა ჩვენსკენ. აი, მაგალითად, 21 ოქტომბერს, ღამით, ზედ პირველ ქუჩაზედ გაუტეხეს დუქანი სეთო ლოტიევს და გაიტანეს ხუთი თუმანი ნაღდი ფული. საქმე გაჭირდა სწორედ, მოსვენება აღარ არის. სულ მუდამ ამ გულის ხეთქაში ვართ. არ იქნა და ველარ ვეღირსენით მყუდროსა და დამშვიდებულს ცხოვრებას. არ ვიცით, რა ამბავია ჩვენს თავზედ.

*** სოფ. ზათაჯოჯუ: (კავკავის მაზრა): ამ ოქტომბრის პირველ რიცხვებში აქაურმა მცხოვრებმა ბილაევმა დასჭრა მძიმედ მოხუცი კაცი ხეიმაროვი. აი საქმე როგორ იყო: ბილაევი და ხეიმაროვი დიდხანს იყვნენ ნაჩხუბრები და დასდევდნენ ერთმანეთს. ამ თვეის პირველს რიცხვებში შეხვდნენ ურთიერთს სოფ. ხუმელაგის წისქვილში, სადაც საფქვავი მიეტანათ. მოუვიდათ ჩხუბი, ჩხუბში ბილაევმა დასძლია, რადგანაც ხეიმაროვი მოხუცი კაცი იყო. იძრო ბილაევმა ხანჯალი და დაუშინა ხეიმაროვს თავში, პირი-სახეში და ცალი ყურიც მოაგდებინა. ყური წინად ბილაევისთვისაც

---

ყავახანისათვის, ან მელუდხანისათვის! საბუთი-კი არა, ეშმაკები. კაცები აფრქვევენ ნიჭოსან-ტალანტოსან-მონოტონოსან სიტყვებს, დავმსხდარიყავით და მოგვესმინა, მეტი რა გვინდოდა. მაშინ აღარც გვეტყოდა-ღა ვინმე იცოხნებითო, აღარც დარბაისელს ოთხ-ფეხს შეგვადარებდა ვინმე, აღარც... ერთის სიტყვით, ბევრი სიკეთე დაგვატყდებოდა თავს, მაგრამ რას უზამთ დროსა და ჟამს, სად გაექცევით მეცხრამეტე საუკუნეს!..

**

ჟამთა ვითარებას, საუკუნოებს და ცხოვრების გარემოებას, როგორც მოგახსენეთ, ისეთი კაცი გაექცევა და ზედ თავზე გადაახტება, ვისაც თავის თავის იმედი აქვს, ვისაცა სწამს აუარებლობა და სიდიადე თავის ნიჭიერებისა და ძალ-ღონისა, აი როგორნიც ბრძანდებიან ბ-ნი პარიჟელი მეყავახანე, ბერლინელი მელუდხანე და მოსალოდნელი ლონდონელი მეჯინე. ჩვენ-კი, «ივერიელნი», მუხლს ვიდრეკთ წინაშე ჟამთა ვითარებისა და ვერსაით ვერ გავქცევივართ, ვერ დავსხლეტივართ გარემოებათა მძლავრს კლანჭებს. და რადგან საქმე ასეა, რადგან ასეთი უშველებელი სიმძიმე აქვს ჟამთა ვითარებასა და ცხოვრების დღევანდელ გარემოებას, ამიტომ თვით გაზეთის დანიშნულებაც ისე გვესმის, რომ დღის ვარამის გამოკვლევა და სამსახური, გარემოებათა ვითარების გაგება—აი ეს არის და ეს უნდა იყოს თავი და ბოლო გაზეთის ავ-კარგიანობისა, სული და გული გაზეთის ფურცლებისა.

იმისდა მიხედვით, თუ რა დღეშია საზოგადოება, რომელსაც ემსახურება გაზეთი, ყოველს სტრიქონს გაზეთისას უნდა აუცილებლივ ეჯდეს ბეჭედი იმ საზოგადოების ავ-კარგიანობისა, აზრისა და გრძნობისა. მრავალ ფერია ვითარება სხვა-და-სხვა საზოგადოებისა და ამიტომ შეუძლებელია, რომ ყველა გაზეთი, როგორც სარკე საზოგადოების სულისა და გულისა, ერთ-ფეროვანი იყოს, რომ გაზეთები არ განსხვავებოდნენ ურთიერთისაგან. საერთო ხასიათი ყოველის გაზეთისა მხოლოდ ის არის, რომ იგი მოვალეა თვალ-გაფაციცებული ადევნოს ყოველს საზოგადოებურს ნაბიჯს მთავრობისას თუ კერძო კაცისას, რომელსაც-კი აქვს შესამჩნევი მნიშვნელობა მთელის საზოგადოების კეთილდღეობისთვის. სხვა-და-სხვა ქვეყანაში სხვა-და-სხვა საზოგადოებურს ნაბიჯსა აქვს ასეთი საყოველთაო მნიშვნელობა და ამიტომ თვით გაზეთებიც, როგორც გამომხატველნი თავიანთ ქვეყნის ვითარებისა, სხვა-და-სხვა საგანს ემსახურებიან. დღეს მთელს ევროპაში ყველაზე წინ წამოყენებულია საპოლიტიკო საქმეები. დღეს ბედი მთელის ევროპისა და ნახევარ აზიისა იმაზე ჰკიდია, თუ როგორ გათავდება ეს გასაშტერებელი ამხედრება დიდთა და პატარა სახელმწიფოთა. სისხლის მდინარეებმა უნდა გაასწოროს ამ სახელმწიფოთა საურთიერთო ანგარიში, თუ მოსახერხებელი იქნება, რომ მშვიდობიანად, საზიარო დათმობით გაიწმინდოს ეს ანგარიშები და დიდის ხნით გათავდეს მათ შორის დავიდარაბა, რომ ხალხმა ამოისუნთქოს, დაჰყაროს თოფ-იარაღი და მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს მარტო თავის კეთილდღეობის აღორძინებასა და გაძლიერებას. ასეთი აუარებელი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პოლიტიკას ევროპისათვის და სასაცილო იქნებოდა, რომ ევროპიელთა გაზეთები ამდგარიყვნენ და თავის ფურცლებზე ეჭედნათ სახალხო ზღაპრები, ლეგენდები, სიტყვა, წარმოთქმული რომელისამე პოლიციის ბოქაულის მიერ იმის თაობაზე, რომ სწავლა თვალის ამხელია და უსწავლელობა-კი გონების დამბნელებელი. ერთის სიტყვით, ისეთი წერილები, როგორიც იბეჭდება ჩვენს გაზეთში შესახებ არხეოლოგიისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, გეოგრაფიისა და სხვანი. ევროპიელ მკითხველს ესმის თავ-ზარდამცემი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ცა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკისა, და ამიტომ გულის ძგერით ადევნებს თვალს ყოველსავე ღრუბელს, რომელსაც-კი პოლიტიკური ქარიშხალი გადაატარებს ამ ცაზე, და კაი, ყველასთვის სანდომი გაზეთიც ის არის, რომელსაც უფრო მეტი შეძლება და უნარი აქვს, რომ არ გამოეპაროს არც ერთი საყურადღებო ამბავი სახელმწიფოთა ავ-კარგიანობისა და სახელმწიფო კაცთა გარჯა-მოღვაწეობისა. ბისმარკმა ცხვირს დააცემინაო, ვილჰელმმა „ღვთის წყალობა“ უთხრაო, ბულანჟემ კალამს მოჰკიდა ხელი და როშფორმა საწერელი მიაწოდაო—დღეს ამისთანა წვრილმანებიც-კი აღარ გამოეპარებათ ევროპის გაზეთებს, ისე უთვალთვალებენ ყოველს ნაბიჯს სახელმწიფო კაცისას, რომლის მოქმედებასაც-კი აქვს რაიმე მნიშვნელობა პოლიტიკის ვითარებაში.

**

ასეთია დღეს საზოგადო ფერი ევროპის ჟურნალ-გაზეთობისა, უამისოდ იგი არ იქნებოდა გამომხატველი იქაურ საზოგადოებათა საქვეყნო გულის პასუხისა და ამიტომ არც მკითხველი ეყოლებოდა. დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ევროპის გაზეთს აძლევს მრავალს მასალას. გაზეთის ფურცლები აჭრელებულია საპოლიტიკო ანდაზებით, ანეგდოტებით, მოთხრობებითა და დამჯდარ მოსაზრებით. მკითხველი თან ერთობა ამისთანა ნაწერებით, თან ჰკუასა სწავლობს და საქვეყნო საქმეებზე ჰფიქრობს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ვითარება ევროპის პოლიტიკისა დიდად საგულისხმიერო და საყურადღებოა ჩვენის ქვეყნისათვისაც, მაგრამ ამასთანავე ჩვენ კარგად ვხედავთ იმასაც, რომ ქართველი საზოგადოება ჯერ ძალიან შორსა სდგას ამ საქმის გაგებაზე, რის გამოც სა[illegible]ისაგან ცხვირი გვაქვს გახვრეტილი—პოლიტიკაზე რადა სწერთ ქართულ გაზეთშიო, თავი მოგვაბეზრეთო, თუმცა „ივერიაში“ შედარებით ძრიელ ცოტა იწერება ხოლმე პოლიტიკაზე. ამ სახით, მკითხველი საზოგადოება ნაკლებ ეტანება პოლიტიკას და, თუ არც იმას დაივიწყებთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთს რუსულ შორის-დებულს, რომელიც სულ სამის ხმისაგან შესდგება, რა ყოვლად-შემძლებელია სიტყვა „цыцъ!“, მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ ჩვენის გაზეთიდამ პოლიტიკა თითქმის გაძევებულია. ეხლანდელს გაზეთს რომ ჩამოაცალოთ საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ვითომ ფრთები შეგიკვეცნიათ მისთვის, და უფრთებოდ რა მანძილი უნდა გაირბინოს გაზეთმა! განა სხვას-კი რას ეტანება ჩვენი საზოგადოება? განა ჩვენში მოიპოვება ისეთი საგანი, რომელიც გულზე მოეჭიდოს მთელს ქართველ საზოგადოებას! საზოგადო საქმე ჩვენში მიყუჩებულია, საზოგადოების აზრს სალათას ძილში უპოვნია სიტკბოება, საზოგადო გულის პასუხები ამოღეცხილა ქართველთა მეხსიერებიდგან. თუ შეგხვდებათ რამ ნასახი საზოგადო მოღვაწეობისა ჩვენში, ეგ ის-კი არ არის, რომ მთელი საზოგადოება ეხმარება ამ საქმეს, ხელს უწყობს მის გაძლიერებას, შესტრფის მის წარმატებას. თქვენც არ მომიკვდეთ. საზოგადოებას გულ-ხელი დაუკრეფია და უგემურად ამთქნარებს, ხოლო

პოექრათ ხეიმაროვებს და ეხლა ბილაევმა მაგიერი გადაუხადა. ხანჯლის ქნევის დროს საბრალო ხეიმაროვი თურმე ხელს აშველებდა ბილაევს და ამიტომ ორივე ხელის თითებიც დასჩეპილები აქვს ხანჯლით. მეორე დღეს კავკავიდგან ექიმი და გამომძიებელი მოვიდა და დაჭრილს ხეიმაროვს ხუთმეტი ჭრილობა აღმოაჩნდა. ამათში ხუთ ალაგას მძიმედ არის დაჭრილი. დაჭრილი კავკავის სამკურნალოში წაიყვანეს. დამნაშავე შეპყრობილია.

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში.

წერილი დე-ვარინისა

ისტორიის ზოგიერთ ხანაში განათლებულნი ერნი, ეს მოწინავე რაზმნი კაცობრიობის უცნობ მერმისისკენ მისწრაფებისა, ასე გონია უეცრად შედგებიან ხოლმე და არ იციან რა გზას-ღა დაადგნენ, საით წავიდნენო. ბინდში, რომელშიაც ისინი იმზრიან, უეცრად ერთი სხივი ჰქრება, და ეს სხივი-კი ის არის, რომ რომელიმე ბრწყინვალე ჭკუის კაცი სიკვდილს მიაქვს. რჩება მხოლოდ ოდნავ-ღა მბჟუტავი მაშხალა. ეს მაშხალა სარწმუნოებრივი რწმენაა, ერთის მოდგმიდგან მეორეზედ გადაცემული, საუკუნოებით ნაკურთხი სოციალური აგებულებაა, რომელიც ეჭვს უბადავს ადამიანს, მაგრამ არ იციან-კი რითი შესცვალონ, როგორ გააუმჯობესონ. როგორც ხშირად ვიწრო ბილიკზედ ერთი გატეხილი ღერძი კმარა, რომ მთელი რაზმი ჯარისა შეაყენოს, ისე სოციალურს მაშინაში ერთი თვალი შედგება ხოლმე და მაშინაც უნდა შეაყენონ და კვლავ მომართონ, კვლავ შეაკეთონ და შეასწორონ. ასეთი ამბავი ხშირად მოხდება ხოლმე და ცოტანი არ არიან მანიშნებელნი ამ საფრთხისა და აგრეთვე განსაკუთრებულნი ხელოსანნი მაშინის შესასწორებლად. მწერლობა განგაშსა ჰკრავს, ფილოსოფოსები განმარტებით გვიხსნიან თავისს აზრს, საზოგადოება თათბირობს და ახალს კანონებს ადგენს და რის ვაითა და ვაგლახით ფეხზედ დაყენებული მაშინა კვლავ იწყებს მუშაობას რომლისამე ჩარხის გაჩერებამდე. ხშირად ატეხილი განგაშა ზოგიერთ მოუთმენელ და წინასწარ კაცთაგან არის გამოწვეული, ამათ რაღაც უბრალო და მოულოდნელი რამ შეაშფოთებთ ხოლმე და მაშინვე ისე წარმოიდგენენ, რომ მთელი სოციალური მაშინაა გაფუჭებულიო. ასე ყოფილა ყოველ დროსა და ყოველს ერში, განსაკუთრებით იმ დროს, როცა მისასვლელ-მოსასვლელი გზები არ იყო, ერთმანეთის აზრის შეტყობა ვერ შეემლოთ და თვალთა ხედვის ისარს შორს ვერ უწვდენდნენ. კაცს საზოგადოდ დაუძლეველი სურვილი აქვს, რომ ყველა წვრილმანიდგან საზოგადო, საერთო რამ აზრი დაადგინოს, და ვერ დააჯერებთ, რომ ამა-და-ამ ალაგას ყოველისფერი უხვად არისო, თუ იმის გარშემო შიმშილი მძვინვარებს; ვერ დაარწმუნებთ, რომ მშვიდობიანობა და კეთილდღეობაც არის ამ ქვეყნადაო, თუ იმის სამშობლოში ძმა ძმაზედ ილესავს კბილებს; ვერ შეაგნებინებთ, რომ იმის კერძო დაღუპვას არავითარი გავლენა არა ჰქონდეს მეზობელზედ, ან რომ სხვები იტანჯებოდნენ, როცა თვით საქმე მარჯვედ მისდის და არაფრის ფიქრი და წუხილი არა აქვს.

ყველაზედ მეტად ადამიანის შემაშფოთებელი და გამაოცებელი-კი უფრო ის არის, როცა დიდის წვალებითა და ვაებით ააგებენ ხოლმე რომელსამე რთულს სოციალურს მაშინას და ცდის შემდეგ დარწმუნდებიან, რომ მოლოდინი არ გაუმართლდათ და რომ ერთი მრუდე მეხანიზმი მაშინას, წაღმის მაგიერ, უკუღმა ატრიალებს.

აი ასეთი საქმე ემართება ამ ჟამად შეერთებულს შტატებში ქორწინებას, ამ აწინდელ საზოგადოებათა საფუძველსა და საძირკველს. თუმცა მამაკაცისა და დედაკაცის კავშირს სარჩულად სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ავტორიტეტი დაუდვს, მაინც კანონ-მდებელნი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ უსაგსულობა ადამიანის ბუნებისა ხელ-შეუშლელად სამუდამო და გადაუწყვეტელ კანონების დადგენისა, განუშორებლად შეკავშირებისაო, და განქორწინებაც აუცილებელ საჭიროებად უნდა მიეჩნიათ ზოგიერთს კარგად მოსაზრებულსა და განსაკუთრებულს შემთხვევაში. ხოლო რაკი ზოგიერთს შემთხვევაში განქორწინება შესაძლებლად იცნეს, ამ სენმა რიხი მოიმატა, ერთი ორად იქცა და თითქმის კანონად და რჯულად გადიქცა. ეხლა ეს ბოროტი ყველასათვის აშკარად თვალ-დასანახავია, დღითი დღე იზრდება, ჰმატულობს და უფრო და უფრო დიდს ძალას იჩენს.

განქორწინებათა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ ამ უკანასკნელს ოცს წელიწადში სასამართლოებმა 326,716 საქმე გაარჩიეს ცოლ-ქმრობრივის უთანხმოებით გამოწვეული. მწერლობა საზოგადოების ყურადღებას აქცევს ამ ამბავს, კანონ-მდებლობის სიცუდეს აღნიშნავს და აგრეთვე საჭირო ცვლილებათა შემოღებასა ჰქადაგებს. მწერლობას სრულიად სამართლიანად უკვირს, რომ ქორწინებას სწორედ იქ მოელის შიში, სადაც, ჩვენის აზრით, უფრო მტკიცე საფუძველზედ უნდა იყოს დაყუდებული და ყოველ მხრით უზრუნველ-ყოფილიო. მართლაც-და, რითი უნდა აიხსნას ესეთი ამბავი იმ ხალხში, რომელიც ერთგული მადიარებელია სარწმუნოებისა, ბუნებით გულ-ცივია, დედაკაცს დიდს პატივსა სცემს და, თანასწორობას გარდა, იმდენი სოციალური უპირატესობა მიანიჭა, რამდენიც არც ერთს ქვეყანასა და მხარეში არა აქვს მინიჭებული? რა მიზეზია, რომ ასე კარგად დაყენებული საქმე შესუსტებულია, დაჭიანებულა, ასე ჰგონია ქორწინების კავშირი თვით მქორწინებელთა ნებაზეა დამოკიდებული და არა კანონის მდიერებაზეო!

ვერავინ იტყვის, რასაკვირველია, რომ ამერიკაში ქორწინება გაზეთებისა, თეატრისა და პუბლიცისტიკისათვის საკითხავი და საგმობი მასალა იყოს და რომ საზოგადოება ამ მკიცხველთ საქციელს უწონებდეს და აქეზებდეს. პირიქით, მწერლები და ჟურნალისტები არიან ხოლმე გაკიცხულნი დღე ყოველ და თავი უნდა დაიცვან და დაიფარონ. ისინი ხმა-მაღლად თხოულობენ თავისუფლად ამოსასუნთქ ჰაერს, ვიწრობით ამ ვიწრო ორმოში, იმ ორმოში, რომელიც დედაკაცის ყინიანობამ და უგანონო მოთხოვნილებამ გამოგვითხარა და გამოგვიქვაბაო. აი რასა სწერს სხვათა შორის ტეკკერი: „ტომ ჯონსის ავტორს შემდეგ არც ერთს მწერალს არ აუწერია ადამიანი ისე, როგორიც იგია. ჩვენ ასაწერს ყოველთვის სხვა გვარად მოვრთავთ ხოლმე, სხვა გვარ ვალაპარაკებთ და ვამოქმედებთ. ჩვენი მკითხველები და განსაკუთრებით მკითხველი ქალები წინააღმდეგნი არიან, რომ ცხოვრება სინამდვილით აგწეროთ და სიმართლეს არაფრით ვუღალატოთ, არაფრით გადავცდეთ ხელოვნებაში“.

ეს ოც-და-ათის წლის წინად იყო და მას შემდეგ ამერიკელ მწერლებს ტეკკერის საჩივარისა და დრტვინვის გამეორება არ შეუწყვეტიათ. მწერლები ჰკიცხავენ ახალგაზდა ქალს, ამ კერპს, რომელიც ყველაფერს იწირავს სხვერპლად, ამ საფრთხობელას დიდის ჟურნალების გამომცემლებისა და რედაქტორებისას, რომელნიც მუხლს იხრიან, მონასავით შესცქნავიან ამერიკელს ქალს და შიშით გული უცახცახებთ, რომ არაფრით შევუბღალოთ ამ წმინდა და ფაქიზს არსებას კდემა-მოსილობა და მშვენიერების გრძნობაო“. რიდერ ჰაგარდი და უიდი ინგლისში, მოიზენი, იულიანი, ჰაუტორნი, ლოტროპი და ჰენრი ჯემსიც-კი ამერიკაში, ყველანი ესე ამ მტარვალობისაგან განთავისუფლებასა თხოულობენ. მწერალთა უმეტესობა, პარსონსონთანა და უარნეროსთან ერთად, იმ აზრისაა, რომ „მწერალს უფლება აქვს სხვის გემოვნებაზე არა სწეროს, უმანკო ქალების დასაკმაყოფილებელ თავის ტეხაში არ იყოს და ამ ქალების მიერ დადებული მსჯავრი სალიტერატურო ნაწარმოებზედ საბოლოო და გადაწყვეტილ განაჩენად არ უნდა ითვლებოდესო“.

(შემდეგი იქნება)

## გასართობი

### ახალი იავ-ნანა

(მიბაძვა)

იავ-ნანა, ვარდო ნანო,
იავ-ნანინაო...
გაიზრდე და გაიზარდე,
პატარა მთვარეო,
მთლად შენი წუთი-სოფელი
სმაში ატარეო.
იმღერე და იქეიფე
შენ ერთთავადაო,
გაიზრდები, შეიქმნები
ქვეყნის თამადაო.
შეიგნე და შეისწავლე
სამშობლო მხარეო,
რომ სადაც დიდი სმა არის,
იქ გაჩნდე მალეო.
მთლად შენი მამულ-დედული
სმას შეალიეო,
შვილო, მამულის გულისთვის
ღვინო დალიეო.
პაწაწინა ლოთი-ფოთო,
ჟანწის ოდენაო,
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!
ანუგეშე, სადაც ნახო,
მომმე მწუხარეო,
ალბათ რომ ღვინო სწყურიან,
დაალევინეო.
ის ურჩევნია მამულსა,
მამასა სჯობდეო;
მე თუ თუნგ-ნახევარსა ვსვამ,
შენ ორს დალევდეო.
განაცვალოს მამაშენი,
რა კარგი მეყვხარო,
ფუნჩულა და გაბერილი
ტიკჭორას გევხარო.

თვით საზოგადო საქმეს უკაკუნებს და სიცოცხლეში მოჰყავს თითო-თითო კაცს, რომელთაც უკისრნიათ მისი მეთაურობა. თუ მეთაური მხნეა და პატიოსანი, თუ ეწვის გული ჩვენის ქვეყნისთვის, საქმეც მიდის, მართალია, კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მიდის; თუ არა-და, თუ მეთაური მარტო სახელისთვის წამოსკუპებულა საქმის სათავეში, მაშინ თვით ეს საზოგადო საქმეც მკვდარი და უმნიშვნელოა ქვეყნისთვის.

ამისთანა მძიმე და აუტანელ გარემოებაშია ჩაყენებული ჩვენი საქვეყნო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართული მწერლობა კერძოდ. ქართველი საზოგადოება არ ეწყობა პოლიტიკას, ფეხებზედ ჰკიდია სამეცნიერო და საზოგადოებური აზრი, შინაური, თუ გარეული საქვეყნო საქმეები. ამისთანა დღეში არა თუ საქვეყნო საქმეებზე არ შესტკივა გული საზოგადოებას, არამედ საკუთარის თავისთვისაც აკლია ჯეროვანი მზრუნველობა. ამ დროს საზოგადო ცხოვრება მიყუჩებული და გარინდებულია, კერძო ცხოვრებას აკლია ფერი, ლაზათი და შნო, ფეხს იდგამს მხოლოდ ათას გვარი ბიწიერება, რომელიც ჩრჩილივით შესჩენია ხალხის გულს და დღე-დღეზე აფულუროებს, ჰხრავს და ერთიან აუძლურებს. ერი ჰკარგავს თავის საკუთარს ფერს, ხასიათს, ეროვნულ თავ-მოყვარეობას და თვით ეროვნულს აზრსა და თვით-მცნებას. როდესაც გონებრივი, ზნეობრივი და სამოქალაქო ზარალი ასეთი აუარებელია, განა აშკარა არ არის, რომ ხალხი არ ეტანებოდეს აღარც თავისსა და აღარც უცხოელთა მწერლობას!..

მეყავახნეებისა და მელუდხანეებისა-კი რა მოგახსენოთ, და ჩვენ-კი დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველივე მხარე ხალხის ცხოვრებისა, აწერილს ვითარებაში, შეუძლებელია სხვა ნაირი იყოს, მოულოდნელია, რომ ასეთს საზოგადოებაში ჰდუღდეს და ჰყვაოდეს რომელიმე საზოგადო საქმე ანუ საქვეყნო აზრი.

**

რა ჯადო და თილისმური ძალა უნდა იხმაროს ჩვენმა მწერლობამ, რომ ქართველობას უცებ შეაყვაროს თავისი ეროვნობა, გაუღვიძოს და გაუძლიეროს კეთილ'მობილური ეროვნული თავ-მოყვარეობა, აღუძრას დაუშრეტელი წყურვილი საქვეყნო საქმეების თაოსნობისა და გაძღოლისა! შესაძლებელია მეყავახან-მელუდხანეებმა იცოდნენ ასეთი ჯადო და თილისმა, მაინც ძალიან უცნაური რამ ხალხია ამ ხელობის ხალხი, მერე თუ საფუძვლიანად გაწვრთნილან პარიჟელ მეყავახნეთა და ბერლინელ მელუდხანეთა ხელში. ხოლო ჩვენა ვფიქრობთ, რომ ამისთანა შეკრულ-შებოჭილ გარემოებაში დიდი თავ-დადებულობა, დიდი სიფრთხილე, დიდი ღვაწლი უნდა იდოს თავს ქართულმა მწერლობამ, რომ საზოგადოებას მოაფშენეტინოს თვალები, აჩვენოს მიმზიდველი სიტკბოება საქვეყნო სამსახურისა, შეაყვაროს თავისი ქვეყანა, საზოგადოებური იდეალები და აღუძრას წყურვილი მათის განხორციელებისა ცხოვრებაში. აი, როდესაც ამ წერტილამდე მიაღწევს საზოგადოების განვითარება გრძნობისა და გონებისა, მაშინ გაზეთი თავის თავადაც ჩადგება კალაპოტში, რადგან ქვეყნის ცხოვრების ავ-კარგიანობას უფერ-უმარილოთაც დიდი მიმზიდველობა ექნება გამოფხიზლებულ ხალხისათვის. მაგრამ ეს წერტილი ჩვენის საზოგადოების წარმატებისა ჯერ ძალიან შორს არის, მანძილი ძრიელ დიდია და მისი გარბენა ერთის კალმის მოსმით შეუძლებელია, გინდაც ეს კალმის მომსმელი იყოს თვით ჯადოსან-ქარქაშოსან-ტალანტოსან-ნიჭოსან-მონოტონოსანი ბ-ნი პარიჟელი მეყავახნე, ანუ მისი პარალელი ბ-ნი ბერლინელი მელუდხანე.

და მანამ იმ წერტილამდე მივიდოდეს ჩვენი ქვეყანა, ქართულმა მწერლობამ უნდა იკისროს სწორეთ სიზიფის დაუშრეტელი მხნეობა და ტანტალის მდგომარეობა. უნდა ხან საფლავებისკენა ჰქმნას პირი და არხეოლოგიურის გამოძიებით დაანახოს უტყუარი საბუთი ჩვენის დიდებისა, რადგან ხშირად ბევრი საფლავი უფრო ძრიელ აღძრავს საზოგადოებურს თავმოყვარეობას და სურვილს წარმატებისას, ვიდრე ასი და ათასი ცოცხალ-მკვდარი მეზობელი და ნათესავი. ხან უნდა ჩასჭიდოს ხელი ისტორიას და გამოჰკითხოს ის მიზეზები, რომელთაც ასე დაუნდობლივ დაამხეს ძირს აყვავებული და სპეტაკი დიდება ჩვენის ქვეყნისა, რადგან ხშირად მიზეზის გაგება უშველებელი ნაბიჯია, წარმატებისაკენ გადადგმული. ხან უნდა მიჰმართოს იმ გონებრივს მასალას, რითაცა სულდგმულობს ჩვენი ხალხი, რითიც იკვებება მისი გრძნობა და გონება, რადგან ხშირად თვით ხალხში დარჩენილია ისეთი ყოვლად შემძლებელი და ძვირფასი საუნჯე, რომლის მსგავსს თვით გენიოსებიც ვერ შეჰქმნიან ხალხის გულის გასათბობად და გონების წყურვილის დასაამებლად. ასეთი მასალა უხვად არის გაფანტული ჩვენის ხალხის მეხსიერებაში და ამიტომ ლეგენდებისა, ანდაზებისა და ზღაპრების შეკრება და ბეჭდვა თითქმის უპირველესი საქმეა ჩვენის მწერლობისა... ერთის სიტყვით, ჩამოთვლაც-კი ძნელია იმ მრავალ ფერად საგნებისა, რომელთაც უნდა წაატანოს ხელი არა თუ საზოგადოდ ქართულმა მწერლობამ, არამედ თვით სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთმაც, როგორიც არის დღეს „ივერია“. მარტო ამაში ვხედავთ დანიშნულებას ქართულის მწერლობისას, ქართულის ჟურნალ-გაზეთობისას, და მკითხველიც დამეთანხმება, რომ ჩვენ შეძლებისადაგვარად ვემსახურებით საგანს სწორეთ ამ მხრივ.

ჩვენ ვერ ვიტყვით ჩვენს თავზე, რომ ნიჭიერად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობასაო. ასეთს ლაპარაკს მოახერხებენ მხოლოდ ისეთი დიდ-სულოვანი და მორცხვი მწერლები, როგორებიცა ბძანდებიან ბაყ-ბაყ დევნი—ბ-ები პარიჟელი მეყავახნე, ბერლინელი მელუდხანე და სხვა-და-სხვანი. ჩვენთვის დიდად სასახელო და სანატრელია, რომ სხვებმა ჩვენზე ერთი ათასად უკეთ შეიგნონ საგანი ქართულის მწერლობისა და ათასად უფრო დიდის ნიჭით ემსახურნენ ამ საგანს, რადგანაც გვწამს, რომ მხოლოდ ეს სამსახური გაუხელს თვალს ჩვენს საზოგადოებას და შეაჩვევს საქვეყნო საქმის გაძღოლას.

ასე გვესმის ჩვენი ვითარება, მეასედ ვიმეორებთ ამას და ეტყობა კიდევ ბევრჯელ დაგვჭირდება მისი გამეორება. ამ ვითარების მიხედვით ჩვენი მწერლობა ხან პოლიტიკას უნდა მიაწყდეს, ხან არხეოლოგიაში იმტვრიოს თავი, ხან ისტორიის მორევში ეძიოს ხავსი, რომ ხელი წაატანოს, ხან ზღაპრებსა და ანდაზებს ჩაუკვირდეს, ხან ბოქაულთა სიტყვა ჰბეჭდოს შესახებ წერა-კითხვის საჭიროებისა და სხვა ამისთანები, ათასში ერთხელ მეცნიერებასაც მიჰმართოს, რადგან მარტო ასე ცოტ-ცოტაობით, ნელ-ნელაა შესაძლო ხალხის მომზადება საქვეყნო საქმეებისათვის. უფერულია ასეთი შრომა, მაგრამ რასა იქთ, როდესაც თვით ცხოვრება ერთიან გახუნებულა... იქნება ჩვენა ვსცდებოდეთ და შესაძლებელი იყოს საზოგადოების გაცხოველება ილუზიონ-კვიტანციონებით და განსპეციალიზებულ ნიჭოსან-მონოტონოსანებით, მაგრამ ამასაც ხომ ვნახავთ...

სანი

შეჰხედეთ ალისფერს ლოყებს,
უურძნის წვენიათ!
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!
შვილო, ღვინის მონა იყავ,
უარი არ სთქვაო,
ლუარსაბმაცა სახელი
ასე გაითქვაო,
სამშობლო და დედა-ენა
რად გინდა ნეტაო,
გამოთვერ და შემოსძახე:
„მნოლია ლეტაო!"

მ. ნასიძე

# დეპეშა

21 ოქტომბერი

პეტერბურგი. დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის ავადმყოფობის გამო გაზ. „Правит. Вѣстникъ"-ი იუწყება, რომ მის უმაღლესობას ცნობა სრული აქვს, მაგრამ ვერ ლაპარაკობს და მარჯვენა ხელს ვერა ხმარობსო. მარჯვენა ფეხი კვლავ მოძრაობაში მოუვიდა: სხვისის დახმარებით უავგუსტოესს ავადმყოფს შეუძლიან ოთახში გავლა-გამოვლაო.

სამკურნალო დეპარტამენტს აზრად აქვს ახალი წესები შემოიღოს მკურნალთა გამოცდისა.

ათინა. შაქირ-ფაშა სამის სამხედრო გემით წავიდა სფაკიაში და თან წაიყვანა ჯარები, რადგან ეფიქრება, რომ იქ დაბანაკებული ჯარები არ აჯანყდნენ და ან საბერძნეთის თოფები არ მოიტანონ ზღვითაო.

დიპლომატებური აგენტი სოფიაში რანგრე დაინიშნა ელჩად პეტერბურგში.

პეტერბურგი. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მომგებ გირავნობის ფურცლებზე 25-ჯერ მეტმა მოაწერა ხელი, ვიდრე თვით ფურცლებია. ხელის-მომწერთა რიცხვი იმდენია, რომ ორის მილიარდის ფურცლის მსურველი შესდგება.

22 ოქტომბერი

პეტერბურგი. „С.-Пет. Вѣд."-ი იუწყება, რომ აპირობენ დააწესონ, სწავლა-განათლებით უფლება ჰქონდეს იმას, ვისაც აირჩევენ ისეთის თანამდებობისათვის საქალაქო, თუ საერო თვით-მმართველობის საქმეში, რომლისათვისაც ჯამაგირი მიეცემაო.

სტამბოლი. იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა აქ დილის 11 საათზე. იმპერატორს მიეგება ხონთქარი და მიიღო თავისი სტუმარი „ბახჩეს" სასახლეში. შემდეგ ხელმწიფენი გილდიზ-კიოსკში წაბრძანდნენ. ხონთქარი გვერდზე უჯდა იმპერატორს, ხოლო მათ პირდაპირ ისხდნენ იმპერატრიცა და პრინცი ჰენრიხი. არავითარი ამალა თან არ ახლდათ.

ბელგრადი. დღეს სკუპშჩინას წარუდგინეს პროექტი ბიუჯეტისა. შემოსავალი აღრიცხულია $43^1/_2$ მილიონ ფრანკამდე, ხოლო ხარჯი $47^1/_2$ მილ., დანაკლისი 4 მილიონი ჰფიქრობენ შეავსონ ზომიერის ხარჯის შემოღებითა და მომჭირნეობით.

პრინცმა კობურგისამ გზად გაიარა და სოფიას წავიდა.

ვენა. ბოლგარიის მთავრობამ შეუკვეთა ავსტრიის სათოფხანო ქარხანას შტეინდერში 100,000 თოფი.

„Neue Freie Presse"-ი ამბობს, რომ უცნაური სურვილია ის სურვილი, რომელიც გამოუთქვამთ ოფიციოზებს გრაფ კალნოკის წასვლის გამოვო. იმათ უთქვამთ, რომ კერძო ინტერესები უნდა ემორჩილებოდეს სამთა კავშირის საზოგადო საერთო ინტერესებსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ოქტომბ.

| | მყიდველნი ჰკ. | გამყიდველნი ჰკ. | გაურიგდნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $152^1/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 245 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 233 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადია
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

24 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. არეთასი. კათოლ. რაფაელ მთავარ-ანგელოზისა. სომეხ. წმ. თეოდოტესი და სხვათა. მაჰმად. მე-12 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—43. ტფილისში მზე ამოდის 6—37, ჩადის 4—50. მთვარე 13 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი. . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადასწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

ახლად გამართული ფოტოგრაფია
ა. ს. როინაშვილისა

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, სარაზოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფის და ზომიერის ფასით.

იქვე იყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—14)

სასტუმრო
## „რუს („РОССІЯ") ეთი"
(გოლოვინის პროსპექტზედ)

15 ოქტომბრიდამ გადავიდა ახალ მოიჯარადრეთა ხელში. ფასები საჭმელებისა და სასმელებისა წინანდელზედ ნაკლებია. სადილი სახლში მიტანით, თუ თვით სასტუმროში ღირს თთვიურად 12 მანეთიდამ 35 მანეთამდე. თვით სასტუმროში ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ფინჯანი ყავა ღირს 60 კაპ., სამი თავი, არაყი, ერთი ჭიქა ღვინო და ყავა—80 კაპ. საჭმელებს ამზადებს ახალი, მცოდნე და გამოცდილი, მზარეული.

სასტუმროში ცალკე ოთახებიც არის მოწყობილი მოსადილეთათვის. სადილისა და ვახშმის დროს უკრავს ორკესტრიონი. ღვინოები გვაქვს ორ აბაზიან ბოთლიდამ დაწყებული ორ მანათიანამდე. ოთახები კარგად მოწყობილებია და ღირს დღესა და ღამეში ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდე. თთვიურად უფრო ნაკლებადა ღირს.

სასტუმროს მოიჯარადრენი:
სოფრონ სხირტლაძე და
იოსებ კავალენსკი.

(3—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово". . | „ | 50 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
## წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| კაკა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების" გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. ძირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით. . . . . . . . | „ | 70 |
| ხანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 20 |
| ცხოვრება დირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | | 1 |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |

## ლაზარევს საღმთოსავლეთო ენების ინსტიტუტისაგან.

ლაზარევს სააღმოსავლეთო ენების ინსტიტუტის უმაღლესს სპეციალურს კლასებში განთავისუფლდა ქართულის ენის კათედრა, რადგან ქართულის ენის დოცენტმა სერებრიაკოვმა თავი დაანება სამსახურს. ამ საგნის მსურველთა და სპეციალისტთ, თუ სურთ დაიჭირონ ეს თავისუფალი ადგილი, ესთხოვთ თავისი სურვილი წერილით განუცხადონ ლაზარევს სააღმოსავლეთო ენების ინსტიტუტის დირექტორს გ. ი. ქანანოვს რაც შეიძლება ჩქარა, ხოლო არა უგვიანეს 1890 წლის პირველ იანვრისა. ზემოხსენებულს კათედრაზედ შემომსვლელთ მისაღებად შემდეგი პირობებია საჭირო: ან 1) თავისი სამეცნიერო თხზულება უნდა წარმოადგინოს ამ საგნის შესახებ და იმითი დაამტკიცოს, რომ საფუძვლიანი ცოდნა აქვს ქართულის ენისა და ლიტერატურისა და ან 2) სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს მიბოძებული რუსეთის, ან სხვა ქვეყნის უნივერსიტეტისაგან ქართულის ენის შესახებ დაწერილ თხზულებისათვის. ვინც ამ მხრით დააკმაყოფილებს მთავრობას ინსტიტუტისას, წელიწადში 1200 მან. ჯამაგირი მიეცემა და მე-VII კლასის ხარისხი ექნება სამსახურში. უფლება აქვთ პენსიაც-კი მოითხოვონ, თუ კანონის მიერ დადგენილი ვადა იმსახურეს. ხოლო თუ ამისთანა კაცი არ აღმოჩნდა, შეუძლიანთ ქართულის ენის მასწავლებლობა იმათაც იკისრონ, რომელთაც შესანიშნავი სამეცნიერო თხზულება არა აქვთ-რა დაწერილი, მაგრამ დაამტკიცებენ-კი თავის საფუძვლიანს ცოდნას ქართულის ენისას. თუ ამ გვარი კაცი იქმნა მიღებული, ჯამაგირი 1200 მანეთზედ უფრო ნაკლები დაენიშნება, ინსტიტუტის საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ.

(3—1)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ" და იყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ
იყიდება
„საზოგადოების" კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა" ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Доз. ценз. Тифлисъ 23-го Октября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.